საჯარო სამართლის იურდიული პირი-
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება № 01-02/36

ქ. ბათუმი 20 მარტი, 2020 წ.

ბსუ-ს რეზიდენტურის ალტერნატიული დიპლომისშემდგომი განათლების (პროფესიული მზადების) პროგრამის მსმენელთან დასადები ხელშეკრულების ფორმის დამტკიცების შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, ,,საექიმო საქმიანობის შესახებ" საქართველოს კანონის, ,,რეზიდენტურის ალტერნატიულ დიპლომისშემდგომგანათლებაში (პროფესიულ მზადებაში) მონაწილეობის, მისი წარმართვის და შეფასების წესისა და იმ სამედიცინო დაწესებულებების ან/და სასწავლებლების აკრედიტაციის კრიტერიუმების და წესის დამტკიცების შესახებ, რომლებშიც შესაძლებელია დიპლომისშემდგომი განათლების (პროფესიული მზადების) კურსის გავლა" საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2009 წლის 8 აპრილის № 135/ნ ბრძანების, ,,საექიმო სპეციალობათა, მომიჯნავე საექიმო სპეციალობათა და სუბსპეციალობების შესაბამისი სპეციალობების ნუსხის განსაზღვრის შესახებ" საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 18 აპრილის № 136/ნ ბრძანების, ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელისათვის რსუ-ში მოქმედ მოკლევადიან საგანმანათლებლო პროგრამებზე და ასევე რეზიდენტურაში სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და კერძო რეზიდენტურის მსმენელებისათვის (რეზიდენტებისათვის) სწავლის საფასურის განსაზღვრის უფლებამოსილების მინიჭების თაობაზე" ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2010 წლის 1 ოქტომბრის №04 გადაწყვეტილების, ,,დიპლომისშემდგომი განათლების (პროფესიული მზადების) პროგრამების განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2010 წლის 23 დეკემბრის N135 დადგენილების, ,,ბსუ-ს რეზიდენტურის ალტერნატიულ დიპლომისშემდგომი განათლების (პროფესიული მზადების) პროგრამებზე სწავლის საფასურის გადახდის წესის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2020 წლის 11 მარტის N01-10/36 ბრძანების და სტომატოლოგიის დარგობრივი დეპარტამენტის ხელმძღვანელის, მზია ბაქრაძის სამსახურებრივი ბარათის (N309378,19.03.2020 წ) საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს ბსუ-ს რეზიდენტურის ალტერნატიული დიპლომისშემდგომი განათლების (პროფესიული მზადების) პროგრამის მსმენელთან დასადები ხელშეკრულების თანდართული ფორმა **(დანართი 1).**
2. წინამდებარე ბრძანებით დამტკიცებული ფორმის შესაბამისად ხელშეკრულებები გაფორმდეს ბრძანების გამოცემის შემდეგ შესაბამის

პროგრამაზე ჩარიცხვის უფლებამოპოვებულ პირთან (შემდეგში ,,მსმენელი / სპეციალობის მაძიებელი“).

3. ბრძანება გასაცნობად და აღსასრულებლად დაეგზავნოს ბსუ-ს რექტორის მოადგილეს (თ. სირაძე) და შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს (საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტს, ბსუ-ს რეზიდენტურის ალტერნატიული დიპლომისშემდგომი განათლების (პროფესიული მზადების) პროგრამების ხელმძღვანელებს, კლინიკას ,,ბსუ დენტი“, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, იურიდიულ დეპარტამენტს, ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს).

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი, ასოცირებული პროფესორი **მერაბ ხალვაში**

ბსუ-ს რექტორის 2020 წლის 10 მარტის
N 01-02/36 ბრძანების

დანართი 1

ხელშეკრულება №

ქ. ბათუმი "____" _____" 2020 წ.

ერთი მხრივ საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი (შემდგომში "ბსუ") წარმოდგენილი რექტორის, მერაბ ხალვაშის მიერ და მეორე მხრივ _____ _____ _(შემდგომში ,,მსმენელი" ან ,,სპეციალობის მაძიებელი") დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანია ბსუ-ს და ,,სპეციალობის მაძიებელს" შორის ბსუ-ს რეზიდენტურის ალტერნატიული დიპლომისშემდგომი განათლების (პროფესიული მზადების) სარეზიდენტო პროგრამის ,,----------„ **(შემდეგში ,,პროგრამა")** გავლასთან დაკავშირებით სამართლებრივი ურთიერთობის რეგულაცია;

1.2 ,,სპეციალობის მაძიებლის" ბსუ-ს პროგრამაზე ჩარიცხვის საფუძველია ბსუ-ში ამ პროგრამაზე მისაღები კონკურსის შედეგები (აღნიშნულ კონკურსში მონაწილეობის მისაღებად აუცილებელია კანდიდატმა დიპლომისშემდგომ საკვალიფიკაციო გამოცდაზე მიიღოს დადებითი შედეგი, რომელიც დასტურდება საგამოცდო ფურცლით/სსიპ სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე - rama.moh.gov.ge, გამოქვეყნებული ინფორმაციით, შესაბამისი ცნობით/მოწმობით).

მუხლი 2. მხარეთა უფლებები და ვალდებულებები

2.1.მხარეები სარგებლობენ საქართველოს კონსტიტუციით, საერთაშორისო ნორმებით, „უმაღლესი განათლების შესახებ"საქართველოს კანონით, საქართველოს კანონებითა და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით, ბსუ-ს წესდებით, შინაგანაწესითა და ეთიკის კოდექსით განსაზღვრული უფლებებით.

2.2.,,სპეციალობის მაძიებელი" აღიარებს რა, რომ გაცნობილია ბსუ-სწესდებას, შინაგანაწესს, ეთიკის კოდექსს და სარეზიდენტო პროგრამის განმახორციელებელი ფაკულტეტის დებულებას, **ვალდებულია:**

ა) შეასრულოს სარეზიდენტო პროგრამით განსაზღრული კურიკულუმი;
ბ) მის მიერ განხორციელებულ/შესრულებულ სამუშაოთა აღრიცხვის მიზნით აწარმოოს დღიური, რომლის ფორმატი განისაზღვრება საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2009 წლის 8 აპრილის № 135/ნ ბრძანებით განსაზღვრული ნიმუშის (დანართი 1.1) შესაბამისად;
გ) ყოველი სასწავლო წლის ბოლოს პროგრამის ხელმძღვანელს წარუდგინოს

გაწეული მუშაობის ანგარიში, გაიაროს ეტაპობრივი და შემაჯამებელი გამოცდა;
დ) დაიცვას ბსუ-სწესდებით, შინაგანაწესით, ეთიკის კოდექსით, შესაბამისი ფაკულტეტის დებულებით, სხვადასხვა აქტებით (ბრძანებებით, გადაწყვეტილებებით, დადგენილებებით) განსაზღვრული მოთხოვნები;

ე) სარგებლობისას გაუფრთხილდეს ბსუ-სქონებას, შეინარჩუნოს მისი ხარისხობრივი და რაოდენობრივი მდგომარეობა;
ვ) ჯეროვნად შეასრულოს ამ ხელშეკრულებით და მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა ვალდებულებები;
ზ) გაეცნოს ამ ხელშეკრულებაში აღნიშნულ ბსუ-ს აქტებში შეტანილ ცვლილებებს ან/და იმ აქტებს, რომელიც ეხება ,,სპეციალობის მაძიებელს", რომლებიც განთავსდება ბსუ-ს შესაბამისი ფაკულტეტის საინფორმაციო დაფაზე ან/და ბსუ-ს ვებ-გვერდზე (**www.bsu.edu.ge.**) ან/და მიეწოდება მას წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებულ, სპეციალობის მაძიებლის ელექტრონულ ფოსტაზე.

2.3 **,,სპეციალობის მაძიებელს" უფლება აქვს:**

ა) მოითხოვოს შესაბამისი სამუშაო პირობებით (კვალიფიციური ხელმძღვანელით, თანამედროვე კლინიკური და საინფორმაციო/საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით) უზრუნველყოფა:
ბ) მონაწილეობდეს სარეზიდენტო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და შეფასებაში;
გ) მზადების პროცესთან დაკავშირებული პრობლემების შესახებ აცნობოს პროგრამის განმახორციელებელი ფაკულტეტის დეკანს;
დ) ისარგებლოს ,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონით, ,,რეზიდენტურის ალტერნატიულ დიპლომისშემდგომ განათლებაში (პროფესიულ მზადებაში) მონაწილეობის, მისი წარმართვის და შეფასების წესისა და იმ სამედიცინო დაწესებულებების ან/და სასწავლებლების აკრედიტაციის კრიტერიუმების და წესის დამტკიცების შესახებ, რომლებშიც შესაძლებელია დიპლომისშემდგომი განათლების (პროფესიული მზადების) კურსის გავლა" საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2009 წლის 8 აპრილის № 135/ნ ბრძანებით, ბსუ-ს წესდებითა და სხვა აქტებით მინიჭებული სხვა უფლებებით.

მუხლი 3. სწავლის საფასური და მისი გადახდის წესი

3.1. სარეზიდენტო პროგრამაზე სწავლის საფასური განისაზღვრება ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვით (ბრძანების N-------- და თარიღი) და შეადგენს ---------- ლარს.
3.2. პროგრამაზე სწავლისათვის გადასახდელი ყოველთვიური სწავლის საფასური განისაზღვრება პროგრამის საერთო ღირებულებისა და სწავლის ხანგრძლივობის თანაფარდობით.

3.3. სარეზიდენტო პროგრამაზე სწავლის საფასური გადახდილი უნდა იქნეს ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ დამტკიცებული წესის შესაბამისად (ბრძანების N------- და თარიღი).

3.4. სპეციალობის მაძიებელი/მსმენელი ვალდებულია ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, ბსუ-ში ჩარიცხვის ბრძანების გამოცემამდე/სწავლის დაწყების წინ, გადაიხადოს პროგრამაზე სწავლის სრული საფასურის ნაწილი - ორი თვის გადასახდელი, ხოლო შემდგომი გადახდები უნდა განახორციელოს ბსუ-ს ანგარიშზე (მიმღების ბანკი-სახელმწიფო ხაზინა; ანგარიში/სახაზინო კოდი- 709017263; ბანკის კოდი -TRESGE22), ბსუ-ში ჩარიცხვის თვის მომდევნო თვიდან, ყოველთვიურად, არაუგვიანეს მომდევნო თვის დაწყებიდან 5 სამუშაო დღისა, **თანდართული გრაფიკით (დანართი 1,** რომელიც არის წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილი).

მუხლი 4. ხელშეკრულების მოქმედების ვადა და შეწყვეტის საფუძვლები

4.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია---------- და მოქმედებს სარეზიდენტო პროგრამის (მოდულის) ვადის ამოწურვამდე;

4.2. სპეციალობის მაძიებლის მიერ სწავლის საფასურის გადახდის წესისა და წინამდებარე ხელშეკრულების პირობის დარღვევისას, პროგრამის ხელმძღვანელისაგან გაფრთხილების მიღების ან/და მიცემული დამატებითი ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ, პროგრამის ხელმძღვანელი ამზადებს ბსუ-ს რექტორის ბრძანების პროექტს მსმენელისათვის წინამდებარე ხელშეკრულებისა და პროგრამის მსმენელის სტატუსის შეწყვეტის შესახებ. ასეთ შემთხვევაში მსმენელს არ დაუბრუნდება მის მიერ უკვე გადახდილი თანხა. მსმენელის სტატუსის შეწყვეტის შემთხვევაში გაიცემა შესაბამისი მოდულის დასრულების მოწმობა, თუკი სპეციალობის მაძიებელს/მსმენელს შესრულებული ექნება პროგრამის მოდულით გათვალისწინებული მოთხოვნები და ამასთან, გადახდილი იქნება ამ მოდულზე სწავლის საფასური.

4.3. ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტის საფუძვლებია:

ა) პირადი განცხადება;

ბ) ,,რეზიდენტურის ალტერნატიულ დიპლომისშემდგომ განათლებაში (პროფესიულ მზადებაში) მონაწილეობის, მისიწარმართვის და შეფასების წესისა და იმ სამედიცინოდაწესებულებების ან/და სასწავლებლების აკრედიტაციის კრიტერიუმების და წესის დამტკიცების შესახებ, რომლებშიც შესაძლებელია დიპლომისშემდგომი განათლების (პროფესიული მზადების) კურსის გავლა“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2009 წლის 8 აპრილის № 135/ნ ბრძანებით, ბსუ-ს წესდებით, შინაგანაწესით, ეთიკის კოდექსითა და ბსუ-ს სხვა აქტებით განსაზღვრული შემთხვევები;

გ) ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობის დარღვევა.

მუხლი 5. სხვა პირობები

5.1. შემთხვევები, რომლებიც არ არის გათვალისწინებული წინამდებარე ხელშეკრულებით, დარეგულირდება მოქმედი კანონმდებლობით;

5.2. მხარეები დავას გადაწყვეტენ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით და დგენილი წესით.

მუხლი 6. მხარეთა რეკვიზიტები

6.1. ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად. ხელშეკრულების თითოეული ეგზემპლარი ინახება მხარეებთან.
6.2. მხარეთა რეკვიზიტები:

„ბსუ“	„სპეციალობის მაძიებელი“
საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო ადმინისტრაციის მისამართი:	სახელი, გვარი ----------
ქ. ბათუმი, ნინოშვილის/რუსთაველის N35/32	პირადი ნომერი ----------
უნივერსიტეტის რექტორი	**რეგისტრ. მის.:** ----------
	ფაქტ.საცხ.ადგ: ----------
	ელექტ.მისამარ. ----------
----------	**საკონტ.ტელ.** ----------
(ხელმოწერა)	**საბანკო რეკვიზიტი:** ----------

	(ხელმოწერა)

2020 წლის------- ---- N---------- ხელშეკრულების

დანართი 1

სპეციალობის მაძიებლის/მსმენელის სწავლის საფასურის გადახდის განრიგი

ერთი მხრივ, საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი (შემდეგში „ბსუ“), და მეორე მხრივ სპეციალობის მაძიებელი/მსმენელი _____, მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულების (N_____, „_____" „_____" 2020წ) 3.4 პუნქტის საფუძველზე ვთანხმდებით, რომ **ბსუ-ს** ---------- **პროგრამაზე ჩარიცხვის შემდგომ პერიოდში** გადასახდელი სწავლის საფასური შეადგენს _____(_____) ლარს, რომელიც გადახდილი უნდა იქნეს ბსუ-ს ანგარიშზე (მიმღების ბანკი-სახელმწიფო ხაზინა; ანგარიში/სახაზინო კოდი-709017263; ბანკის კოდი -TRESGE22) ქვემოთ მოცემული განრიგის შესაბამისად:

№	გადახდის თარიღი	გადასახდელი თანხა (ლარი)
1		
2		
3		
4		
5		
6		
7		
8		
9		
10		
11		
12		
13		
სულ		

„ბსუ"

_____

სპეციალობის მაძიებელი/მსმენელი

_____